პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 12 სექტემბერი, 1943 წ. № 192 (6817). ფასი 20 კაპ.

საუკეთესოდ ჩავაბარეთ რთველი

წელს საქართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ყურძნის მოსავალს მეტს იღებენ შარშანდელთან შედარებით. ქობულეთელ და ლაგოდეხელ კოლმეურნეთა მოწოდების საფუძველზე გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება ყურძნის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და მისი საუკეთესოდ გადამუშავებისათვის. კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, აღფრთოვანებულნი უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ **სტალინის** ბრძანებითა და გმირი წითელი არმიის წარმატებითი შეტევით, კიდევ უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპებს, რომ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს მისცენ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

ყურძნის სუფრის ჯიშების კრეფა უკვე დაიწყო სამტრესტის ყულარის და გიაურ-არხის საბჭოთა მეურნეობებში. რაიონებიდან იტყობინებიან ყურძნის უხვი მოსავლის მიღების შესახებ. ხირსის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში უკვე დაიწყეს ყურძნის კრეფა და ჰექტარზე საშუალოდ იღებენ 94 ცენტნერს. მაიაკოვსკის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში გააჩაღეს ყურძნის შამპანური ჯიშების კრეფა. კიდევ რამდენიმე დღე, და აღმოსავლეთ საქართველოში ყურძნის კრეფა მასობრივად დაიწყება.

მევენახეობის რაიონების პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა და სამეწარმოო-მომქმედ ორგანოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დიდი მუშაობა მოელით. საბრძოლო ამოცანაა უდანაკარგოდ ავიღოთ ყურძნის მთელი მოსავალი, წარმატებით შეავსრულოთ ჩაბარების გეგმები და საუკეთესოდ მოვაწყოთ მისი გადამუშავება, რომ მივიღოთ ყურძნის კარგი პროდუქცია — მაღალხარისხოვანი ღვინო, ყურძნის წვენი და სხვ.

ბევრგან მომზადებული ხვდებიან რთველს. მაგალითად, გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დროულად გაშალეს ამ მხრივ მუშაობა, რომ სამხედრო ტემპებით ჩაატარონ ყურძნის კრეფა-გადამუშავება. მაგრამ ზოგან ჯერ კიდევ აჭიანურებენ რთველისათვის მზადებას. ასეთ მაგალითებს ვხვდებით საგარეჯოს რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სამეწარმოო-მომქმედო ორგანოების საბრძოლო ამოცანაა ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ რთველს. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დროულად უნდა მოიმარაგონ ტარა, ინვენტარი, რომ კრეფა და მიმღებ პუნქტებში მიზიდვა სწარმოებდეს დაუბრკოლებლივ. ღვინის გადამამუშავებელმა ქარხნებმა ამ თვითვე უნდა იზრუნონ საჭირო მოწყობილობის სრულ წესრიგში მოსაყვანად. ჯერ კიდევ არის დრო იმისათვის, რომ ეს სამუშაო ყველგან საუკეთესოდ იქნას მოწყობილი.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ ყურძნის მოსავალი უდანაკარგოდ აღოს. საჭირო არ მოოთ წითელი და თეთრი ჯიშებისა ცალცალკე. ყურძენი უნდა იკრიფებოდეს მიკროორაიონებისა და ნაკვეთების მიხედვით ტექნიკური სიმწიფის პერიოდში (კონდიციის (შაქრიანობა, ჯიშიანობა) მტკიცედ დაცვით. სწორად იქცევიან მოწინავე კოლმეურნეობები, როდესაც ყურძენს მიმღებ პუნქტში აბარებენ არა უგვიანეს 4-6 საათისა დაკრეფიდან. იმ შემთხვევაში, როდესაც ყურძენი მოიკრიფება და დანიშნულებისამებრ ჩაბარდება ცალკე ჯიშების მიხედვით, და როდესაც მოახდენენ მის შერჩევას ჯიშებისა და ტარისხის მიხედვით, ეს იმას ნიშნავს, რომ მივიღებთ მაღალხარისხოვან ღვინოს. სწორედ ამიტომ მევენახეობის რაიონების მუშაკებმა ამ საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ 1943 წლის მოსავლიდან მთლიანად და გადამეტებით შეავსრულოთ ყურძნის ჩაბარების ვალდებულებანი. თითოეულმა კოლმეურნეობამ და კოლმეურნემ დროულად და ხარისხოვნად უნდა შეასრულოს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი, რომ პირნათლად მოვიხადოთ ჩვენი ვალი სამშობლოსა და ფრონტის წინაშე, მივცეთ ქვეყანას მეტი და მაღალხარისხოვანი ყურძნის პროდუქცია.

საჭიროა მოკრეფილი ყურძენი დროზე გადავზიდოთ გადასამუშავებელ პუნქტებში. ეს მოითხოვს, რომ სატრანსპორტო საშუალებანი დროზე მოვიყვანოთ სრულ წესრიგში და არ დავუშვათ ყურძნის დაზიანება.

დიდი ამოცანების წინაშე დგანან სამტრესტი და ყურძნის მიმღები პუნქტები. ყურძნის დამამზადებელი აპარატი სანიმუშოდ უნდა მუშაობდეს და მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი მაღალი პროდუქციის მიღება. საჭიროა დამზადების პუნქტებში ვიყოლიოთ გამოცდილი, უნარიანი მუშაკები, უზრუნველვყოთ პუნქტები სასწორებითა და სხვა საჭირო მოწყობილობით.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მევენახეობის რაიონების პარტიული ორგანიზაციები, სხვა სასოფლო - სამეურნეო სამუშაოების წარმატებით შესრულებასთან ერთად, სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღებით უზრუნველჰყოფენ ყურძნის კრეფა-დამზადებისა და გადამუშავების სანიმუშოდ ჩატარებას.

მ. ი. კალინინის მისალოცი დეპეშა იუგოსლავიის მეფე პეტრე II-საგან მისი დაბადების დღის გამო

6 სექტემბერს იუგოსლავიის მეფე პეტრე II-ის დაბადების დღის გამო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ი. კალინინმა შემდეგი მისალოცი დეპეშა გაუგზავნა მას:

„თქვენი დაბადების დღის გამო გთხოვთ მიიღოთ ჩემი მოლოცვა და საუკეთესო სურვილები პირადად თქვენდამი და გმირულად მებრძოლი იუგოსლავიელი ხალხისადმი“.

იუგოსლავიის მეფე პეტრე II-ის საპასუხო დეპეშა მ. ი. კალინინის მისალოცი დეპეშაზე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ი. კალინინის მისალოცი დეპეშის პასუხად იუგოსლავიის მეფე პეტრე II-მ შემდეგი დეპეშა გამოგზავნა:

„მხურვალედ გმადლობთ თქვენი მისალმებისათვის და გადმოგცემთ ჩემს უგულითადეს სურვილს პირადად თქვენ და მალე გამარჯვებას ვუსურვებ თქვენს გმირ მებრძოლებს“.

ამხ. შვერნიკის გამოსვლა ბრიტანეთის ტრედუნიონთა 75-ე კონგრესზე

ლონდონი, 9 სექტემბერი (საკდესი). 8 სექტემბერს ბრიტანეთის ტრედუნიონთა 75-ე კონგრესზე დიდი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. შვერნიკმა.

ამხ. შვერნიკმა შეაჯამა ჰიტლერული გერმანიისა და მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხისა და მისი მამაცი წითელი არმიის 26 თვის ბრძოლის შედეგები.

ამხ. შვერნიკი დაწვრილებით შეჩერდა საბჭოთა ზურგის მუშაობასა და საბჭოთა პროფკავშირების როლის შესახებ წითელი არმიის საბრძოლო ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

შემდეგ ამხ. შვერნიკი შეეხო ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ბრძოლის შედეგებიდან გამომდინარე დასკვნებს.

„ახლა საკითხი ასე დგას, — თქვა ამხ. შვერნიკმა, — იმაზე, თუ როდის გაჩაღდება მოკავშირეთა შეტევითი მოქმედება ევროპის კონტინენტზე, დამოკიდებული იქნება ჰიტლერზე გამარჯვება და ომის დამთავრების ვადები. სხვანაირად რომ ვთქვათ, რაც უფრო მალე გაიხსნება მეორე ფრონტი ევროპის კონტინენტზე, მით უფრო მალე დამთავრდება ომი და მით უფრო მეტად შემცირდება მსხვერპლის რაოდენობა ანტიჰიტლერული კოალიციის მხარეზე“.

დასასრულ ამხ. შვერნიკი შეჩერდა ინგლის-საბჭოთა პროფკავშირული კომიტეტის ამოცანებზე.

ამხ. შვერნიკს რამდენჯერმე შეაწყვეტინეს სიტყვა ტაშითა და შეძახილებით: „სწორია“. ამხ. შვერნიკის სიტყვის დასასრული დაჰფარა კონგრესის წევრთა მქუხარე, ხანგრძლივმა ტაშმა და „ურას“ შეძახილებმა.

ქრონიკა

იმასთან დაკავშირებით, რომ 26 მაისს შესრულდა ინგლის-საბჭოთა კავშირის მოკავშირეობის ხელშეკრულების დადების პირველი წლისთავი, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ საბჭოთა მთავრობას სიჩუქრად გამოუგზავნა სურათი, რომელიც ასახავს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვისა და ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ა. იდენის მიერ საგარეო საქმეთა სამინისტროში 1942 წლის 26 მაისს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის აქტს. სურათი შესრულებულია ცნობილ ინგლისელ მხატვარ სელისბერის მიერ.

სურათი მოთავსებულია საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის განცალკევებული სახლის თეთრ დარბაზში.

სსრ კავშირში ჩამოვიდა ჰოლანდიის ელჩი ბ-ნი ბარონი კ. ვან ბრიუგელ დუგლასი

11 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ჰოლანდიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ბარონი კ. ვან ბრიუგელ დუგლასი.

მოსკოვის აეროდრომზე ბ-ნ ბარონ კ. ვან ბრიუგელ დუგლასს შეხვდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სოქმო განყოფილების გამგე ამხ. ფ. ფ. მოლოჩკოვი.

რაციონალიზაციურ-ფეიქართა კონკურსი

სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო რაციონალიზაციურულ და საგამომგონებლო წინადადებებზე.

კონკურსის ყიური განიხილავს შემოსულ წინადადებებს, რომლებიც შეეხებიან შრომისტევადი პროცესების უმარტივეს მექანიზაციას, შრომის რაციონალურ ორგანიზაციას და სხვ. თითოეული დარგისათვის დაწესებულია 10 პრემია 15, 10 და 5 ათასი მანეთისა.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

11 სექტემბრის ოპერაციული ცნობა

11 სექტემბრის განმავლობაში პავლოგრადის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც შეტევის განვითარებას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 10-დან 12-მდე კილომეტრით და დაიკავეს 70-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები მიხაილოვკა, კისელი, გუსაროვკა, ასეევკა, შეველევკა, ვოლკოვო, ლოზოვენკა.

ქალაქ სტალინოს (დონბასი) დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც მტრის წინააღმდეგობას სძლევდნენ, წინ წაიწიეს 10-დან 15-მდე კილომეტრით და დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის უსპენოვკა, ელიზავეტოვკა, ეკატერინოვკა, კონსტანტინოვკა, ნოვო-მიხაილოვკა, ვალერიანოვკა, ივანოვკა, ოქტიაბრსკოე, კრასნოვკა, ჩერდაკლი და რკინიგზის სადგურები ველიკო-ანადოლი, კალჩიკი.

ნეჟინის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს 6-დან 10-მდე კილომეტრით და დაიკავეს 20-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები სტრელნიკი, ველიკაია ზაბოროვკა, კარაგუტოვო, იურინევკა, პიკარი და რკინიგზის სადგური პლისკი.

ბრიანსკის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც მტრის წინააღმდეგობას სძლევდნენ, წინ წაიწიეს 5-დან 10-მდე კილომეტრით და დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის სტაროე ხოტმიროვო, მატრენოვკა, ივანოვიჩი, ბიტოში, ბოლშაია და მალაია ჟუკოვკა, რომანოვკა, კოროგინო.

ბრიანსკის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის: ფროლოვკა, გავრილკოვო, პროლისოვო, სიტენკი.

ხარკოვის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს 5-დან 8-მდე კილომეტრით და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

სმოლენსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს დაკავებული პოზიციების გასაუმჯობესებლად.

10 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 46 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 49 თვითმფრინავი.

* * *

პავლოგრადის მიმართულებით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ და 70-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მტერი წინააღმდეგობას ეწევა, ებღაუჭება რა მაღლობებს და გამაგრებულ დასახლებულ პუნქტებს. ჩვენი მოძრავი რაზმები ფერმანელთა ფლანგებში აღწევენ და მძაფრ დარტყმებს აგემებენ მათ, გაოცებულ-ძის შიშით ჰიტლერელები უწესრიგოდ იხევენ უკან. ერთ უბანზე ჩვეულა მებრძოლებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 12 ქვემეხი და 42 ავტომანქანა სხვადასხვა ტვირთითანად. ხელთ ვიგდეთ 200 ტონა საწვავი, დიდი სასურსათო საწყობი და სხვა დავლა. სხვა უბანზე 5 შენაერთის ნაწილებმა გერმანელთა 11 ტანკი მოსპეს. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა სავსებით ვარგისი ძმიმე ტანკი, 10 ქვემეხი და სხვა დავლა. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

სამხრეთის ფრონტის ჯარებმა წინ წაიწიეს 15-მდე კილომეტრით და 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ჩვენი კავალერიტები და მოტორიზებული ქვეითი ჯარი უკან-დასახვევ გზებს უჭრიან მოწინააღმდეგეს, სცემენ მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. ერთ-ერთ სადგურზე ხელთ ვიგდეთ რკინიგზის 1.000-მდე ვაგონი, რომელთა ნაწილი სამხედრო ტვირთით იყო დატვირთული. გერმანელთა ქვეითი ჯარის იმ ბატალიონის უმეტესი ნაწილი, რომელიც სადგურს იცავდა, მოსპობილი, ხოლო ამ ბატალიონის ნაშთები წამოყვანილია ტყვედ. 5 საკავალერო ნაწილის მებრძოლებმა ველში გზა გადუჭრეს გერმანელთა ავტოკოლონას და ხელთ იგდეს 35 ავტომანქანა სამარი მასალიანად.

* * *

ნეჟინის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. 5 შენაერთის მებრძოლები, რომელნიც გერმანელთა გაზრდილ წინააღმდეგობას სძლევდნენ, წინ მიიწევდნენ, დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და რკინიგზის სადგური პლისკი. სადგურ პლისკისათვის წარმოებულ ბრძოლაში მოსპობილია გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. ჩვენი სხვა შენაერთის ნაწილებმა მოიგერიეს მტრის კონტრიერიში და მოსპეს 300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 6 ტანკი და „ფერდინანდის“ ტიპის 2 თვითმავალი ქვემეხი. გერმანელებს წაართვეს 9 ქვემეხი და სამარი მასალის საწყობი.

* * *

ბრიანსკის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები შეტევას განვითარებდნენ და დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის მუშათა დაბა ბიტოში. გერმანელებმა სხვა უბნებიდან მოუყარეს თავი მაშველ ძალებს და შეუპოვრად იცავდნენ ამ დაბას. ჩვენმა ნაწილებმა ორი მხრიდან შემოუარეს ბიტოშს და მძაფრი დარტყმით დაამარცხეს მოწინააღმდეგე. ბრძოლის ველზე დარჩა გერმანელთა 700-მდე გვამი. ხელთ ვიგდეთ 5 ქვემეხი, 41 ტყვიამფრქვევი და სხვა დავლა.

* * *

ხარკოვის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. მოწინააღმდეგემ ახალი ნაწილები მოიყვანა და კონტრიერიშებით ცდილობდა შეეკავებინა ჩვენი ჯარების წინსვლა. ერთ უბანზე დღის განმავლობაში ჰიტლერელებმა ზედიზედ 14-ჯერ მოიტანეს კონტრიერიშები. 5 შენაერთის მებრძოლებმა გერმანელთა ყველა კონტრიერიშები მოიგერიეს. მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით 800 ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეითებმა და ტანკისტებმა გარეკეს მოწინააღმდეგე რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან; ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოსპობილია 400-ზე მეტი ჰიტლერელი.

* * *

სმოლენსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს თავიანთი პოზიციების გასაუმჯობესებლად. ელნიას სამხრეთ-დასავლეთით 5 ნაწილის ქვეგანაყოფებმა დაიკავეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი. ჩვენმა მებრძოლებმა გონს მოსვლის საშუალება არ მისცეს მოწინააღმდეგეს, გადალახეს წყლის ზღუდე და 3 დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ამ ბრძოლაში მოსპობილია ორ ასეულზე მეტი ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ საარტილერიო ბატარია, 54 ტყვიამფრქვევი და სხვა დავლა.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაციამ ჩასძირა მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 5.000 ტონა წყალწყვისა.

* * *

ლიტველთა პარტიზანულმა რაზმმა 4 ხიდი აიფეთქა გზატეხილზე, რომლითაც გერმანელებს ჯარები გადაჰყავდათ და სამამარი მასალა გადაჰქონდათ. გარდა ამისა, პარტიზანებმა აიფეთქეს მოწინააღმდეგის 5 ავტომანქანა და დაანგრიეს რამდენიმე კილომეტრი სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირგაბმულობის ხაზი. ლიტველთა სხვა რაზმის პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადაგდეს გერმანელთა 2 სამხედრო ეშელონი. მარცხის შედეგად დაიმსხვრა 60 ვაგონი და პლატფორმა. რკინიგზის ამ უბანზე მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილი იყო რამდენიმე დღე-ღამით.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა მე-17 ქვეითი დივიზიის 21-ე პოლკის მე-11 ასეულის ფელდფებელმა ჰერგარდტ რაინერმა განაცხადა: „ჩვენი პოლკი ტაგანროგში იდგა. ჩვენ განუწყვეტლივ ვაუმჯობესებდით ძველ სიმაგრეებს და ვაგებდით ახლებს. ჯარისკაცებს დღე-ღამეში 12-14 საათს ამუშავებდნენ. როცა გამოირკვა, რომ რუსებმა ორიონი და ბელგოროდი დაიკავეს და ხარკოვს უახლოვდებოდნენ, ყველამ ყურები ჩამოპყარა. მალე ჩვენი ჯერიც დადგა. რუსებმა იქ დაგვარტყეს, სადაც ამის მოლოდინი ყველაზე ნაკლებად გვქონდა. მათ ზურგიდან მოგვიარეს. რუსებმა ისარგებლეს ჩვენს რიგებში მომხდარი არეულობით, სწრაფად შეჰკრეს რკალი, და ჩვენ მახეში აღმოვჩნდით. წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იყო, და ჩვენ ტყვედ დავნებდით“.

დასასრულ სამხედრო ტყვემ განაცხადა: „ომის ფოლი მე შეებულება მივიღე ავადმყოფობის გამო. შეებულებას პატარა ქალაქ შეაიგერში ვატარებდი. შარშან ჯერ კიდევ მრავალი ჩემი თანამემამულე ოცნებობდა უკრაინის ნაყოფიერი მიწების შეძენაზე. ზოგი ემზადებოდა წამოსულიყო „რუსლანდის ასათვისებლად“. ახლა ისინი გიეებად მიაჩნიათ. ამჟამად მხოლოდ სამგლოვიარო ცნობათა ახალ ნაკადზე ლაპარაკობენ. ივლისის განმავლობაში ჩვენს პატარა ქალაქში აღმოსავლეთის ფრონტიდან 350-ზე მეტი ცხონა მოვიდა ჯარისკაცთა და ოფიცერთა დაღუპვის შესახებ“.

ჩვენი ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის კვანძებს გომელს, ნეჟინს, კრასნოგრადს, ვერხნეჟოქმაკს

10 სექტემბერს ღამით ჩვენი ავიაცია ბომბავდა გერმანელთა სამხედრო ეშელონების შეჯგუფებებს და მოწინააღმდეგის სამხედრო საწყობებს გომელის, ნეჟინის, კრასნოგრადისა და ვერხნეტოოქმაკის რკინიგზის კვანძებზე. დაბომბვის შედეგად დამტვრეულია რამდენიმე სარკინიგზო ეშელონი. გაჩნდა მრავალი ხანძარი, რასაც თან სდევდა ძლიერი აფეთქებანი.

ერთი ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

ჩვენმა ჯარებმა გერმანელი დამპყრობლებისაგან გაათავისუფლეს ქალაქი მარიუპოლი

მოქმედი არმია, 10 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). აწარმოებენ რა შეტევას აზოვის სანაპიროს გასწვრივ, ჩვენმა ჯარებმა გერმანელი დამპყრობლებისაგან გაათავისუფლეს სამხრეთის მეტალურგიული მრეწველობის დიდი ცენტრი—ქალაქი და ნავსადგური მარიუპოლი. წითელი არმიის ნაწილების მძლავრი დარტყმების შედეგად დაეცა გერმანელთა კიდევ ერთი დასაყრდენი პუნქტი აზოვის ზღვის სანაპიროზე.

ტაგანროგთან ერთად მარიუპოლს დიდი ოპერატიული მნიშვნელობა ჰქონდა მოწინააღმდეგის ჯარებისათვის სამხრეთში. მარიუპოლის ნავსადგურით გერმანელებს კავშირი ჰქონდათ გაბმული ყირიმთან და სამხედრო ტვირთების ნაწილს აწვდიდნენ თავიანთ ჯარებს ყუბანსა და დონბასში. მარიუპოლი იყო აგრეთვე გერმანელთა მთელი თავდაცვითი ზღუდის დიდი დასაყრდენი პუნქტი მდინარე კალმიუსზე.

ამ მდინარის მაღალი, ფლატეებიანი ნაპირები თავისთავად წარმოადგენდნენ დიდ ბუნებრივ დაბრკოლებას. გერმანელები დიდხანს ამაგრებდნენ კალმიუსის მარჯვენა ნაპირს და ნამდვილ სიმაგრედ გადააქციეს იგი. აქ გათხრილი იყო სრული პროფილის სანგრები, უბვად აღჭურვილი- საცეცხლე წერტილებით,—სატყვიამფრქვევო ბუდეებით, საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარიებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვან უბნებზე აგებული იყო ძელმიწური საცეცხლე წერტილი, რკინა-ბეტონის ხანგრძლივი საცეცხლე წერტილი და ჯავშნიანი ბლინდაჟები. მთელი ეს მძლავრი თავდაცვითი ხაზი გაეშიმული იყო ათობით კილომეტრზე დონბასიდან მარიუპოლამდე. ეს სიმაგრენი წარმოადგენდნენ გერმანელთა საშუალედო თავდაცვითს ზღუდეს მდინარე მიუსსა და მდინარე დნეპრს შორის.

მას შემდეგ, რაც ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი სტალინო და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები სტალინოს სამხრეთითა და დასავლეთით, 5 დივიზიამ ბრძანება მიიღო დაეკავებინა ქალაქი მარიუპოლი. 9 სექტემბერს, 14 საათზე, დაიწყო ბრძოლა ქალაქისათვის. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა გაარღვიეს მტრის თავდაცვის ხაზი და დაიწყეს ქალაქის გარშემორტყმა ჩრდილოეთიდან. გერმანელები გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. ტანკებისა და თვითმავალი ზარბაზნების დიდი ჯგუფების დახმარებით ისინი ზედიზედ გადმოდიოდნენ კონტრიერიშზე.

ბრძოლები იმდენად შეუპოვარი იყო, რომ ცალკეული პოზიციები ორჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. მოწინააღმდეგე განსაკუთრებით გააფთრებულ წინააღმდეგობას გაწევდა ქალაქის მოსაზღვრე მიჯნაზე. ბრძოლა მთელ დღეს გრძელდებოდა და მხოლოდ დაბნელებისას მთავრდა.

ეს ხანმოკლე შესვენება საბჭოთა ნაწილებმა ძალების გადასაჯგუფებლად გამოიყენეს და 9 სექტემბერს ღამით გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ. ღამის წყვდიადში მარიუპოლის დასავლეთით გადასხმულ იქნა კონტრ-ადმირალ გორშკოვის მეზღვაურთა დესანტი. ჰიტლერელები, როგორც ეტყობა, ასეთ მანევრს არ მოელოდნენ და ვერ გაუძღვნ დესანტთა მიძალებას. ამავე დროს აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ქალაქზე იერიშით მიეტანეს სახმელეთო ნაწილებმა. საბჭოთა მებრძოლების დარტყმების შედეგად მოწინააღმდეგემ იწყო უკანდახევა. დილით ჩვენი ქვეგანაყოფები ქალაქში შეიჭრნენ. ქუჩებში დაიწყო გააფთრებული ბრძოლები. საბჭოთა მებრძოლნი- უბანს უბანზე, სახლს სახლზე სწმენდდნენ გერმანელი დამპყრობლებისაგან. განსაკუთრებით შეუპოვარი ბრძოლები სწარმოებდა ქალაქის ცენტრში. გერმანელები ებღაუჭებოდნენ თითოეულ სახლს, გვესროდნენ სარდაფების ფანჯრებიდან და შენობათა სხვენებიდან. მაგრამ საბჭოთა ნაწილების შეტევის შეჩერება მათ ვერ შესძლეს. ქუჩებში ათი საათის ბრძოლების შედეგად მტრის წინააღმდეგობა გატეხილ იქნა. ჩვენმა ჯარებმა მთლიანად დაიკავეს ქალაქი და ნავსადგური მარიუპოლი.

ა. ვიაზემსკი

ხარკოვის ინტელიგენციამ აღფრთოვანებულ გერმანელ ოკუპანტთა მხეცობას

ხარკოვს ჩავიდა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედთა დამდგენი და გამოიკვლევი საგანგებო სახელმწიფო კომისიის წევრი ალექსი ტოლსტოი. მოხდა მისი შეხვედრა ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. ა. ტოლსტოიმ თხოვნით მიმართა შეკრებილთ — ეამბნათ ყოველივე, რაც მათ გადახდათ გერმანელთა ოკუპაციის დღეებში.

პროფესორებმა კორეტკოვმა, ნიკოლაევმა და ლომაკინმა, მსახიობმა ლოიკომ და სხვებმა ილაპარაკეს გერმანელთა ველურ დანაშაულთა შესახებ, ხარკოვის ინტელიგენციის მიერ გადატანილი კოშმარული დღეების შესახებ. განთავისუფლებული ხარკოვის ინტელიგენცია მხურვალე მადლობას უძღვნის წითელ არმიას და მის უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ სტალინს გერმანელ დამპყრობთა ულმობელ განთავისუფლებისათვის. (საკდესი).

რუზაევკა, მორდვეთის ასსრ

ალიაბიევის სახელობის წითელი დროშის ორდენოსანი ჯავშნიან მატარებელთა 1-ლი ცალკეული სასწავლო პოლკის მეთაურს

ვუსალოცავ ალიაბიევის სახელობის წითელი დროშის ორდენოსანი ჯავშნიან მატარებელთა 1-ლი ცალკეული სასწავლო პოლკის ოფიცრთა, სერჟანტთა, რიგითსა და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობას 25 წლისთავს, მთავრობის მაღალ ჯილდოებს და ვუსურვებ წარმატებებს წითელი არმიის ჯავშანმატარებელთა ნაწილების კადრების მომზადების საქმეში.

თავდაცვის სახალხო კომისარი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

წითელი არმიის ჯავშნიან მატარებელთა პირველი ცალკეული სასწავლო პოლკის ოცდახუთი წლისთავი

წითელი არმიის ჯავშნიან მატარებელთა პირველი ცალკეული სასწავლო პოლკის 25 წლისთავის აღსანიშნავად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ჯავშნიან მატარებელთა კადრების მომზადებაში ღირსშესანიშნავი წარმატებებისათვის და სამშობლოს წინაშე საბრძოლო დამსახურებისათვის დააჯილდოვა პოლკი წითელი დროშის ორდენით. პოლკს მიეკუთვნა ალიაბიევის სახელი. პოლკის ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობის თოთხმეტი კაცი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. (საკდესი).

ბრძანებაუღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სამკერდე ნიშან „წარჩინებული ტრაქტორისტის“ დამტკიცების შესახებ

წითელი არმიის სატრაქტორო სამსახურის რიგითი და სერჟანტთა შემადგენლობის განსაკუთრებით სახელმოხვეჭილი პირთა წახალისების მიზნით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცდეს წითელი არმიის სატრაქტორო სამსახურის რიგითთა და სერჟანტთა შემადგენლობისათვის ნიმუში სამკერდე ნიშნისა „**წარჩინებული ტრაქტორისტი**“.
2. დამტკიცდეს დებულება სამკერდე ნიშნისა—„**წარჩინებული ტრაქტორისტი**“.
3. მიენიჭოთ სამკერდე ნიშნით დაჯილდოების უფლება პოლკებისა და შენაერთების მეთაურებს, არმიებისა და ფრონტების არტილერიის სარდლებს, სამხედრო ოლქების არტილერიის უფროსებს და წითელი არმიის მთავარი საარტილერიო სამმართველოს უფროსს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 10 სექტემბერი.

ბრძანებაუღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ტაგანროგის 130-ე მსროლელი დივიზიის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნას ტაგანროგის 130-ე მსროლელი დივიზია **წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 10 სექტემბერი.

ბრძანებაუღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**წითელი ვარსკვლავის ორდენით ამიერ-კავკასიის ფრონტის გაზეთის დაჯილდოების შეს

კონკრეტულად ვუხელმძღვანელოთ ციგრუსოვანთა სამუშაოებს

ლანჩხუთი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ლანჩხუთის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე მინიმუმ ნოემბერი მუშობა ჩაატარეს ციტრუსოვანი კულტურების მოვლისა და შემდგომი განვითარებისათვის. სოფ. ჭინთის კიროვის სახელობის, ლაშისღელის ფრუნზეს სახელობის, ლრმაღელის ლენინის სახელობის და ჭონგვრის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებში პლანტაციები წესრიგშია მოყვანილი. საწარმოო გეგმებში დამატებით შეტანილია ტყის ამონაყრებისა და ბუჩქნარების ამოძირკვა, ჩაცვლა, არხების რემონტი და სხვ. კოლმეურნეობებში ქარსაფარებად დათესილია წიწვიან მცენარეთა 10 კილოგრამი თესლი, ხოლო ნამყვნის საძირედ და ცოცხალი ღობისათვის 450 კილოგრამი ტრიფოლიატის თესლი.

მაგრამ ამასთან ერთად რაიონის კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ გვხვდება სერიოზული ჩამორჩენა. ზოგიერთ კოლმეურნეობათა გამგეობებს, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს არ გამოუტანიათ სათანადო დასკვნა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებიდან. სოფ. მაჩხვარეთის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ესე წოლოსანი, აგროტექნიკოსი ტატიანა კვაშაძე) ციტრუსების პლანტაციებში 7 ჰექტარიდან პირველი ოთხნა ჩატარებულია მხოლოდ 1 ჰექტარზე, ხოლო გამოცლილა—2,5 ჰექტარზე. ჯერ კიდევ არ დაუწყიათ პლანტაციების შეწამლვა გოგირდ-კირნაზარშით, რაც აგრეთვე გეგმით არის გათვალისწინებული. მიუხედავად იმისა, რომ ციტრუსების მყნობის დრო ერთი თვეა დადგა, აქ გათვალისწინებული 6.000 ძირიდან 30 აკლიაქმედე ერთი ძირიც არ დაუმყნიათ. 0,3 ჰექტარი სანერგე, სადაც საძირეები წელს უნდა დათესულ, გაუთოხავია, სასუქის შეტანლობისა და საერთოდ მოუვლელობის შედეგად 2.000 ძირი სანამყენე ტრიფოლიატი გამხმარია, ხოლო დანარჩენის დიდი ნაწილი დასუსტებული. სოფ. ორთვის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე პრ. კვაშაძე) ციტრუსების 10 ჰექტარი პლანტაციიდან ჩაცლილა ჩატარებულია მხოლოდ 5 ჰექტარზე, ხოლო ბორდოს სითხით შეწამლვა—3 ჰექტარზე, დაუმთავრებელია აგრეთვე გოგირდ-კირნაზარშით წამლობა. ციტრუსებისათვის რგული ფორმალურად არის გამოყოფილი, იგი სხვა სამეურნეოზეა გამოყენებული. ასევე ჩამორჩენილია ესესი, ფ. მახარაძის სახელობის (თავმჯდომარე ს. გოგიჩაიშვილი), ორმეთის ეროშილოვის სახელობის (თავმჯდომარე ზ. ჩხაკვაძე), სოფ. ნინოშვილის ე. ნინოშვილის სახელობის (თავმჯდომარე ე. ჩხარტიშვილი) და სხვა კოლმეურნეობები.

რაიონში ნელი ტემპით მიმდინარეობს ციტრუსების მყნობა. ეს სამუშაო აქ წელს დაგვიანებით, 15 აგვისტოს დაიწყეს, ორი კვირის განმავლობაში რაიონული გეგმა ხმოლოდ ერთი მესამედით არის შესრულებული. მყნობას აგვისტოს ბოლომდე არ შესდგომიან ავრეთვე სოფ. მამათის ბერიას სახელობის (თავმჯდომარე ე. გუჯაბიძე) და ზედა აკეთის 26 კომისრის სახელობის (სოფ. თავმჯდომარე მ. ჩხაიძე) კოლმეურნეობები. ჩამორჩენენ ავრეთვე აცანის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ვ. წილოსანი), ღრმაღელის ლენინის სახელობის (თავმჯდომარე ბ. ტიკარაძე) კოლმეურნეობები. სუსტი მოგლის შედეგად სათანადოდ განვითარებული არ არის საძირეები. ისინი გაუწმენდავია აგრეთვე ზედმეტი ამონაყრისაგან.

მყნობის აფერხებს ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობაც. ზემდგომი ორგანოების დადგენილებით რაიონის კოლმეურნეობებს „მეიერის“ ჯიშის ლიმონისა და „ვაშინგტონ-ნაველის“ ფორთოხლის სანამყენე კალმები საბჭოთა მეურნეობიდან უნდა მიეღოთ. საამისოდ იქ სამჯერ იქნა მოგლინებული (16, 21 და 24 აგვისტოს) ლანჩხუთის რაიონწარმგანის აგრონომი, მაგრამ ყოველთვის უარით გამოისტუმრეს. სინამდვილეში კალმები იყო, მაგრამ თავი არ შეიწუხეს და მეურნეობრიტული პასუხით დაკმაყოფილდნენ. ეს ნიშნავს: 24 აგვისტოს დირექტორის (ამხ. ბურკაძე) და საქმეთა მმართველის ხელმოწერით მისცეს ცნობა, რომ აგრონომი მ. იმნაძე... „გამოცხადდა სანამყენო კალმების მოსაღებად რაიონისათვის, რაზედაც კალმის უმეურნეობის გამო დირექციის მიერ უარი ეთქვა“. გამოირკვა, რომ მუხაესტატეს საბჭოთა მეურნეობაში კალმები საკმაოდ ბევრია და ახლა, დამატებით მიღებული ზომების შემდეგ, უკვე ეძლევა ლანჩხუთის რაიონს. მეურნეობის ხელმძღვანელები რომ საკითხს გულისხმიერად მოპყრობოდნენ, შეიძლებოდა რაიონისათვის დახმარების დროულად გაწევა.

ტრ. თოდრაძე

დაიწყო სიმინდის მოსავლის პლება

ქვარელი („კომუნისტის“ კორ.). ყვარლის რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებში მასობრივად გაჩაღდა სიმინდის მოსავლის აღება. წელს შარშანდელთან შედარებით სიმინდის მოსავალი კოლმეურნეობებში ბევრად მაღალია. მოსავლის აღებისათვის ფართოდ გაიშალა მუშაობა სოფ. სანავარდოს კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. გიგოლაშვილი). ამ კოლმეურნეობას მომზადებული აქვს სასიმინდეები, სიმინდის საზიდად გამართულია ურმები, მოსავალსაც წარმატებით იღებენ. სოფ. გავაზის ეროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. ცუკოშვილი) 9 სექტემბრისათვის სიმინდი აღებული იყო 4 ჰექტარზე, ახალოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში კი (თავმჯდომარე კ. შეყეალაძე)—3 ჰექტარზე.

ი. დიასამიძე

ქუთაისის რაიონმა შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა

ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა—9 სექტემბრისათვის მოჰკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 291.029 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 290.000 კილოგრამისა. წლიური დავალება შესრულებულია 100,3 პროცენტით. კოლმეურნეებმა ითლეს ვალდებულება წლის ბოლომდე გეგმის გადამტებით მოკრიფონ 40.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი და კიდევ უფრო გაუმჯობესონ ჩაის ფოთლის ხარისხი.

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომის მდივანი **ლ. გაბრიაძე**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ლ. მაღლაფერიძე**

გეგმის შესრულება

წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის 1943 წლის გეგმა 1 სექტემბრისათვის 100,2 პროცენტით შეასრულეს. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 782 ტონა ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 780 ტონისა. ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება.

წყალტუბოს რაიმიწწგანის გამგე **ტუეშელაშვილი**

ვიბრძოლოთ ახალი საწარმოო გამარჯვებებისათვის

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივის მორიგი გამარჯვება

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატმა განიხილეს სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1943 წლის აგვისტოს შედეგები და გადასწყვიტეს:

დარჩეს პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს და შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სადნობ საამქროს (დირექტორი ამხ. კეკელიძე, პარტკომის მდივანი ამხ. მესხი, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. თედოზაშვილი, სადნობი საამქროს უფროსი ამხ. მაღლაკელიძე) და აგრეთვე დარჩეს ამ საამქროს „საბჭოთა კავშირის ფეროშენადნობთა საუკეთესო საამქროს“ სახელწოდება.

აგვისტოს განმავლობაში კარგი მუშაობისათვის მესამე პრემია მიეცა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მარგანეცის საამქროს (საამქროს უფროსი ამხ. თედოზაშვილი).

თბილისის ხორცკომბინატის მუშაკთა დაჯილდოება

თბილისის ხორცკომბინატის კოლექტივმა (დირექტორი დ. სანაძე, პარტბიუროს მდივანი — ა. მჭედლიშვილი) მიმდინარე წელს ხუთჯერ გაიმარჯვა სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, დაიკავა მეორე ადგილი სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა შორის და მიიღო პრემიები.

აგვისტოში ხორცკომბინატის კოლექტივმა კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობა და პროდუქციის გამოშვების თვიური გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. ს. სმირნოვმა საუკეთესო მუშაობისათვის ამ დღეებში „სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის სოციალისტური ფრიადოსნის“ ნიშნით დაჯილდოვა თბილისის ხორცკომბინატის მუშაკთა დიდი ჯგუფი. დაჯილდოებული არიან: ი. ხუციშვილი — საძეხვე საამქროს მუშა, ა. თოიძე — მთავარი ინჟინერი და დირექტორის მოადგილე, ნ. რამიშვილი — სპეციფიკაციკატების საამქროს უფროსი, დ. ტერეხოვა — მუშა და სხვ.—სულ 12 ამხანაგი. ქების სიგელით დაჯილდოებულია 6 კაცი.

ლ. მუხაძე

პარტიული ცხოვრება

სამხრეთ-ოსეთის მშრომელები სწავლობენ ამხანაგ სტალინის წიგნს

სტალინირი („კომუნისტის“ საქ. კორ.). ოლქის მშრომელები უდიდესი ინტერესით სწავლობენ ამხანაგ სტალინის წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. ოლქში ჩამოყალიბებულია 116 წრე, რომლებშიც 2.340 კაცია გაერთიანებული. სტალინირის რაიონში ჩამოყალიბებული 50 წრე აგვისტოში შეუდგა მეცადინეობას. ასევე კარგად მიმდინარეობს მეცადინეობა ჯავის, ლენინგორისა და ზნაურის რაიონებში.

უმრავლესობა ამხანაგ სტალინის წიგნს დამოუკიდებლად სწავლობს. ქალაქ სტალინირში 2.000 კაცი სწავლობს დამოუკიდებლად. საქალაქო პარტკომიტეტმა მათ დასახმარებლად მოაწყო გამოფენა დამხმარე და ძირითადი ლიტერატურისა, პლაკატებისა და ლოზუნგებისა, ფოტოდოკუმენტებისა, რომლებიც ნათლად ასახავენ ჩვენი სამშობლოს სახელოვან დამცველთა საგმირო საქმეებს და საბჭოთა ზურგის მუშაკთა თავდადებულ შრომას. დილიდან გვიან საღამომდე მუშაობს პარტკაბინეტი, მოდიან პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პროპაგანდისტები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები. ისინი ყველანი აქ დებულობენ ამომწურავ პასუხს მათთვის საინტერესო საკითხებზე. პარტკაბინეტმა მოაწყო სემინარი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა და პროპაგანდისტებისათვის, კონსულტაცია კომკავშირის ორგანიზაციების მდივნებისათვის.

ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლის საკითხებს ეძღვნება პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებები. ამ დღეებში ჩატარდა ზნაურის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელზეც ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ზნაურის რაიკომის მდივანი ამხ. რ. ლაზარაშვილი. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გ. ჯაგაევმა, მ. გაგლოევამ, დ. თედეევმა და სხვებმა კრებას მოუთხრეს იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც ადგილებზე ეწევიან ამხანაგ სტალინის წიგნის ღრმად შესწავლისათვის. აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბარამია.

ფ. ზასეევი

აგვისტრიგადა მთის ზონის კოლმეურნეობებში

ქასპი („კომუნისტის“ საქ. კორ.). საქ. კ. პ. (ბ) ქასპის რაიკომის ბიუროს დადგენილებით მთიანი ზონის კოლმეურნეობებში გაეშზავრა აგიტბრიგადა, რომელმაც კოლმეურნეებთან ჩაატარა საუბრები და მოხსენებები დიდი სამამულო ომის გმირობისა და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. კოლმეურნეებს გააცნეს შინაარსი ამხანაგ სტალინის წიგნისა „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. მუსიკალური და მხატვრული სადამების ჩასატარებლად აგიტბრიგადას თან ახლდნენ სარაიონო კულტურის სახლის მეფანდურეთა ანსამბლის წარმომადგენლები.

ბრიგადამ უკვე შემოიარა მდ. თეძმის ხეობის, ჭყობიანის, რკონის, სამოჭალოს, ზენადრისის, ჩაჩუბეთის და ცხავერის კოლმეურნეობები. აგიტბრიგადის მიერ ჩატარებული საუბრები და მოხსენებები კოლმეურნეებმა ინტერესით მოისმინეს და ახალი ვალდებულებები აიღეს. ზენადრისის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ქერლუოშვილმა ვალდებულება აიღო ვადაზე ადრე და უდანაკარგოდ აიღოს მოსავალი და პირველივე გალეწილწით მოიხადოს ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე.

სოფ. რკონის კოლმეურნეობის 70 წლის მოხუცმა კოლმეურნემ სიმონ წიკლაურმა იკისრა სისტემატურად იმუშაოს საკოლმეურნეო მინდვრებში და დღიური დავალება 150 პროცენტით შეასრულოს. ასეთივე ვალდებულებები აიღეს ცხავერის კოლმეურნეობის წევრმა ა. ჯინიყაშვილმა, ჭყობიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სამამულო ომის მონაწილემ ე. ლომიძემ, რომელმაც ერთ ჰექტარზე აღებული ქერი მთლიანად შეიტანა ავდაცვის განმტკიცების ფონდში. ამავამად აგი წითელი არმიისათვის გასაგზავნად ასუქებს 2 სულ ცხვარს, ზრდის ქათმებს, კოლმეურნე ქალები ჩვენი მებრძოლებისათვის ჰქმნიან თბილი ხელთათმანებს, წინდებს და სხვ.

აგიტბრიგადა ამ დღეებში გაემგზავრება გოსტიბის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში.

ვ. ბუზალაძე

საქ. კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის რაიკომის პლენუმი

მესტია („კომუნისტის“ კორ.). ამ დღეებში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ზემო სვანეთის რაიკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები: 1. რაიონში საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ (მომხს. საქ. კ. პ. (ბ) ზემო სვანეთის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ჯაჯანი), 2. სამთო - მეტალურგიულ კომბინატში გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ (მომხს. სამთო-მეტალურგიული კომბინატის დირექტორი ა. წერეთელი), 3. პარტიაში მიღების მდგომარეობის შესახებ (მომხს. საქ. კ. პ. (ბ) ზემო სვანეთის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყ. გამგე ამხ. ს. ჭკადუა).

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ს. ჩხეტიანი, შ. ქობალია, პ. გასვიანი, ფ. კვიციანი, ფ. დადგანი, ი. ხარძიანი, ი. შენგელია და სხვ.

პლენუმმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ამხანაგ სტალინის წიგნის ღრმად შესწავლის საკითხებზე. პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქ. კ. პ. (ბ) ზემო სვანეთის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ვეკუამ. განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებანი.

რ. მარგიანი

დეპეშები

გერმანელებმა ხელში ჩაიგდეს რომი

ლონდონი, 10 სექტემბერი (საკადესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ, იტალიელთა შტაბის ცნობით, გერმანელები ცდილობენ ხელში ჩაიგდონ რომი, რათა შეაჩქმნან აქ მარიონეტული რეჟიმი.

წუხელ რომი დაბომბა ავიაციამ, რომლის ეროვნული კუთვნილება გამორკვეული არ არის.

ჟენევა, 10 სექტემბერი (საკადესი). გერმანიის რადიომ გამოაქვეყნა ცნობა: გერმანიის ჯარებმა დღეს დაიწყეს რომზე შეტევა და რომის იტალიელთა სარდლობამ კაპიტულაცია მოახდინა.

გარდა ამისა, გერმანიის რადიოს ცნობით, გერმანელებმა ხელში ჩაიგდეს ბენუა, სპეცია, ბოლონია, ვერონა, კრემონა და ტრიესტი.

ურთიერთობის განყვეთა იზაღიასა და გერმანიას შორის

ლონდონი, 10 სექტემბერი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ბარშალმა ბადოლიომ ყოველგვარი ურთიერთობა გასწყვიტა გერმანიასთან.

იზაღიის გემები მაღვაში ჩავიდნენ

ლონდონი, 11 სექტემბერი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 10 სექტემბერს ალიმოს კუნძულ მალტაში მივიდნენ იტალიის ფლოტის სამხედრო გემები, მათ შორის 4 სახაზო გემი, 7 კრეისერი და 6 საესაღმრო ნაღმოსანი.

ლონდონი, 11 სექტემბერი (საკადესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ იტალიის სამხედრო-საზღვაო ფლოტს, ძლიერ დანაკლისის მიუხედავად, ჯერ კიდევ მოეპოვება მნიშვნელოვანი ძალები. მის შემადგენლობაში არის 7 სახაზო გემი, 3 ავიონესი, 2 ძლიერ კრეისერი (ორივე დაზიანებული), 9 მსუბუქი კრეისერი (სხვა ორის მშენებლობა მთავრდება), 25 საესაღმრო ნაღმოსანი, 60 წყალქვეშა ნავი და სხვა მცირე სამხედრო გემების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ჯიზღერელთა თარეში პოლონეთში

სტოკჰოლმი, 11 სექტემბერი (საკადესი). აქ მიღებული ცნობებით, გერმანიის სამხედრო ხელისუფლებამ პოლონეთში გამოსცეს ბრძანება, რომლითაც გერმანელები სიცდილით დასჯას ემუქრებიან პოლონელებს რუს მოქალაქეებთან სულ მცირე კავშირისათვის. როგორც ამტკიცებენ, ეს ბრძანება იმან გამოიწვია, რომ ამ უკანასკნელ ხანს გახშირდა საბჭოთა მოქალაქეების გაქცევა. გაქცეულნი გზაში ერთიანდებიან ცალკეულ ჯგუფებად, რომელნიც საგრძნობ დარტყმებს აგებენ გერმანელებს მათს საკომუნიკაციო ხაზებზე.

პოლონელებს ბრალად დებენ, რომ ისინი დახმარებას უწევენ ამ ჯგუფებს.

პოლონეთიდან ამას წინათ გამოქცეული პირნი გვიამბობენ, რომ ჭდინიასა და პოლონეთის სხვა რაიონებში ჩავიდა გერმანიის იმ რაიონებიდან ევაკუირებული მრავალი გერმანელი, რომლებსაც მოკავშირეთა ავიაცია ბომბავს. ევაკუირებულთა დასაბინავებლად გერმანელებმა იძულებითი წესით უბრძანეს თითოეულ პოლონელ ოჯახს მიიღოს ერთი გერმანელი და ის სრულ განკარგულებაში გადასცეს ბინა, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და საკვები.

იოზ ფროფერი გაზეთ „დეილი მეილიდან“

ვის არ ახსოვს იოზ ტროტერი, თვალცრემლიანი გაიძვერა „პიკვიკის კლუბის ჩანაწერებიდან?“ დიკენსმა ამ სახეში საუკეთოდ შეასხა ხორცი „სენტიმენტალური“ ტერორისევლობის ნიშნებს. თავისი არამზადა პატრონის ყველა სამაგალ ოინს იოზ ტროტერი უზადო ასრულებდა ცრემლით. თავისი „ბატონი“ თვალები მას მუდამ სველ ადგილას ჰქონდა.

იოზ ტროტერი დღესაც ბედნიერად და ჯანმრთელად ცოცხლობს. ის იყო, გაზეთ „დეილი მეილის“ თანამშრომლის სახით ამას წინათ რომ ინახულა რუდოლფ ჰესი, რომელიც ტყვედ ირიცხება. გაზეთის პირველი გვერდი, ამ დარბაზობისადმი მიძღვნილი, უხვად არის ცრემლით დასველებული. იოზ ტროტერი ხმამაღლა სლუკუნებს და ცრემლს იწმენდს. მას ეცოდება „რუდოლფ ჰესი, რომელიც ინგლისის ტყვეობაში იტანჯება.

შეიძლება უცნაურად გვეჩვენოს, მაგრამ ინგლისში ყოველგვარ სულიერთა შორის არიან ადამიანები, რომლებსაც საშინლად აინტერესებს, თუ როგორ ცხოვრობს და რასა იქმს რუდოლფ ჰესი, ეს გერმანული ჩიტი, რომელიც ადოლფ ჰიტლერმა თავისი ფაშისტური კიდობნიდან დასაზვერავად გამოუშვა ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ზეგრმანიას ორმოც დღესა და ორმოც ღამეს დაატყდებოდა ფუგასური და ცეცხლწამკიდი ბომბების ნიაღვარი.

გაზეთი „დეილი მეილი“ თავის მკითხველებს ფრიად დაწვრილებით და საქმის სრული ცოდნით აუწყებს, რომ გარეგნულად რუდოლფ ჰესი ძალიან კარგად ცხოვრობს. იგი ინგლისში უფრო უშიშრად გრძნობს თავს, ვიდრე გებელსი გერმანიაში. იგი მოთავსებულია არა ბომბსაფარში და არა სპასურობილეში, არამედ მყუდრო კოტეჯში ქალაქგარეთ; მას არ აწვიმს არავითარი აზრით; იგი სოხზავს არა პოლიტიკურ სტატიებს, არამედ ლირიკულ სონეტებს...

იოზ ტროტერი „დეილი მეილიდან“ გულაჩუყებით ლაპარაკობს, თუ როგორ ინახულა ჰესი. ეს იყო მეგობრების შეხვედრა. ისინი სულით ნათესაობამ დააახლოვა.

„თავად იგორაში“ ხანი კონჩაკი მიმართავს იგორს და მღერის: „არა, ჩემი ტყვე კი არა, ძვირფასი სტუმარი ხარ!“ მაგრამ ეს ხომ ოპერაშია. ეს მხატვრული გამონაგონია. გაზეთი „დეილი მეილი“ კი იმ მომენტში, როცა საომარი მოქმედება უკიდურეს ზომამდე გაჩაღებული, ისე ელაქუცება რუდოლფ ჰესს, თითქოს ეს გაბრილი ფაშისტური ძველი ტყვე კი არა, ძვირფასი სტუმარი იყოს ინგლისში.

რაღათ უნდა გვაკვირვებდეს ის, რომ ჰესი ჩვეულებრივი გერმანულ-ფაშისტური თავხედობით გაშზლართულა გაზეთის ფურცელზე, ფეხი ფეხზე შემოუდვია და უბოდიშოდ ყბედობს. იგი მოურიდებლად ცრუობს, და სრულებითაც არა შიშობს, რომ მას მკაცრად გააწყვეტინებენ სიტყვას, რომ მას კინწისკვრით გააგდებენ გარეთ, როგორც თავხედს, რომ მას საცინლად აიგდებენ, როგორც ფაშისტ მასხარას... არა, თუ ამ კომპანიაში მართლაც თავი მოიყარეს თავხედებმა და მასხარებმა, რუდოლფ ჰესი მათ შორის უფასო ადგილი არა ყოფილა.

ბატონ ტროტერი ფიქრობს, ალბათ, ინგლისელ მკითხველს სწყინს, ამიტომ ამ ადგილზე ეს ბატონი ოდესღაც „ბატონ“ ტროტერად ერქვა ინგლისელ ბურჟუებს. ეს ბატონ ტროტერ ფაშისტ ბატონ ტროტერ ბოლოს ბოლოს ინგლისელ ბურჟუებს ეკუთვნოდა. ეს ბატონ ტროტერ ბატონ ტროტერ ბატონ ტროტერ